საქართველო

ხალგაზრდა ქართველი

22 ოქტომბერი
სამშაბათი
1991
(11754)
№ 121

1921 წელს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მოვედით დღემდე?!.

აგერ უკვე რამდენიმე თვეა, ერთი მწარე კითხვა მაწვალებს:

— როგორ მოვედით დღემდე ქართველები, როგორ არ გადაეშვნდით ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ბევრი ერის მსგავსად, თუ მუდამ **ახეთები** ვიყავით?

ასეთები...

„მტვერწაყრილი, თავდახრილი, ყოვლად უქმი, უდიერი, უზღუდონი, გზამრუდონი, არ გამტანი და ცბიერი, მტრის არ მცნობი, მოყვარის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, არ რის მცოდნე, არ რის მქონე, უზრუნველი და მშიერი“ (სხვათა შორის, მე რომ ჩვენი მრავალრიცხოვანი გაზეთის რედაქტორების ადგილას ვიყო, თვეში ერთხელ, მავანისათვის შესახსენებლად, პირველ გვერდზე, იქ, სადაც „ბედნიერ ერს“ დავსტამბავდი).

ასეთები...

მაგალითად, ისეთი, კახაბერ კახაბერისძე რომ იყო, აბაღა ყაენის ლაშქარი რომ შემოიყვანა დასავლეთ საქართველოში.

მაგალითად, ისეთი, როგორიც კონსტანტინე — მირზა იყო, მამა და ძმა რომ ამოხოცა ტახტის გულისათვის.

ისეთი, იასე ფალავანდიშვილი რომ იყო, რომელმაც 1832 წლის შქოქმულება გასცა.

ისეთი, მე-19 საუკუნის ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი რომ იყო, უნივერსიტეტის ნაცვლად რუსეთის იმპერატორს სამხედრო სასწავლებლის გახსნა რომ სთხოვა.

ისეთი, როგორიც ბერბიჭაშვილი იყო, ილიას ნათელი შუბლი ბერდანკის სამიზნედ რომ გაიმეტა.

ისეთი, როგორიც „რკინის სერგო“ იყო, კოჯრის სანგრები ქართველ იუნკერთა გვამებით რომ ამოავსო, ოკუპანტებს თბილისში შემოუძღვა, ოპერის თეატრის სცენაზე მაუზერით ემუქრებოდა ხალხს, ხოლო ვაჟაზე თქვა, ცოცხალი რომ იყოს, იმასაც დავხვრეტდიო.

ისეთი, „ფოლადის კაცი“ რომ იყო, რომელმაც განაცხადა, საქართველო წაღმა-უკუღმა უნდა გადაიხნასო.

ისეთი, ავადსახსენებელი ტალახაძე რომ იყო, 1924 წელს ვაგონში გამომწყვდეული ქართველი პატიმრები რომ დახვრიტა.

ისეთი, ერთ-ერთი მინისტრის მოადგილე რომ არის, რომელმაც, პოეტმა და მანდილოსანმა, საქვეყნოდ ბრძანა: ოპოზიცია (**ქართული** ოპოზიცია!) მიწაში უნდა ჩაიმარხოსო.

ისეთი, ვინც გააოხრა და გაავერანა საქართველოს ტელევიზია.

ისეთი, ვინც დანა გაუყარა და ტყვია ესროლა, ქართველმა-ქართველს.

ისეთი, ვინც ავტომატით დაცხრილა ქართული კულტურის ერთ-ერთი ბასტიონი — მწერალთა კავშირის სასახლე (კონსტუდიამ და ოპერის თეატრმა რაღა „დააშავეს“? ალბათ, მათი რიგიც მოვა).

ისევ ილია გავიხსენოთ:

„რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? ჩვენც ლამაზად სულ ყველასა თვითო-თვითოდ ვღალატობდით...“ „ჩვენც ერთმანეთს გულმოდგინედ ვწეწდით და ვიწეწებოდით...“

ჰოდა, თუ მართლა ასეთები ვიყავით, როგორ, რა სასწაულით, რა ჯადოქრობით მოვაღწიეთ დღემდე?!.

მაწამებს ეს კითხვა, მაგრამ მაშინვე მუხრანის სიტყვები მახსენდება:

„ღალატიაო ამგვარი ფიქრი!“

მართლაც...

ხომ გვყავდნენ ღირსეულნიც, რომელთა მაგალითსაც, ეტყობა, გაცილებით უფრო მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე ყორღანაშვილის, ბერბიჭაშვილისა თუ ორჯონიკიძისა?!

მაგალითად, სულმნათი დავით, რომელიც, ღრმადმორწმუნე ქრისტიანი, პატივს სცემდა ყურანსა და თალმუდს.

მაგალითად, ხვაშაქი ცოქალი და კრავი ჯაყელი, ორი დარბაისელი მანდილოსანი, თავიანთი „ქალური დიპლომატიით“ რომ შეარიგეს მოწინააღმდეგე მხარეები (დღვანდელი მოკივარი ქალები მახსენდება...).

მაგალითად, იოთამ ზვედგინიძე, გიორგი მეფის საწოლში მეფისათვის გამიზნული ხანჯლების დარტყმა საკუთარ სხეულზე რომ მიიღო.

მაგალითად, ცოტნე დადიანი და მღვდელი თევდორე...

მაგალითად, ილია ჭავჭავაძე...

მაგალითად, ქაქუცა ჩოლოყაშვილი...

მაგალითად, პავლე ინგოროყვა, მიხეილ თამარაშვილი, ექიმი ჟორდანია...

მაგალითად, შერაბ კოსტავა...

ჭეშელას რა ჩამოთვლის! ერთი თვალის გადავლებითაც ცხადია, ქართველ ერში თანადგომა რომ სჭარბობს ღალატს, სიყვარული — სიძულვილს, შრომისმოყვარეობა — უქნარობას, კეთილგონიერება — უგუნურებას, სიკეთე — ბოროტებას.

მაგრამ ყველაფერი ეს, ჩვენდა სავალალოდ, თითქოს მხოლოდ ისტორიაში დარჩა — **შერაბ კოსტავას იქით...**

ახლა კი, ამჟამად, ჯერჯერობით ისეთები ვართ სწორედ, როგორებიც არ უნდა ვიყოთ და ამიტომაც მაწამებს სათაურად გატანილი კითხვა.

ამიტომაც მინდა, რომ ხშირ-ხშირად გადავიკითხოთ ქართველებმა დიდი ილიას „ბედნიერი ერი“!

ნუგზარ აფხაზავა

წყალნი წავლენ და წამოვლენ, „ყურეები“ დარჩებიანო...

შაბათობას ვერაფრით ვერ დავარქმევდით — ორშაბათი დღე იყო, არადა, ასეთი ენთუზიაზმი თუ შეეძლო კიდევ ქართველ კაცს — ნომარს, დარბეულს, ნახევრად მშიერს — ნამდვილად არ გვეგონა.

რესპუბლიკის მოედანზე (ყოფილი რესპუბლიკის თუ ახალი — ზუსტად ვერ გეტყვით. ხალხის გადარქმევის შესახებ ოფიციალური ცნობა არ ყოფილა) პარასკევიდან გამალებული ნგრევა მიმდინარეობს...

გახსოვთ, ალბათ, ხუმრობით თუ ნახევრად ხუმრობით შერქმეული „ანდროპოვის ყურები...“ სწორედ ამ „ყურებთან“ მიდგმულ ტრიბუნას (თუ აივანს) ანგრევენ ახლა.

— რატომ? — ვკითხე გვირაბმშენის უფროსის მოადგილეს ბატონ ROMAN ჭელიძეს.

— საქმე ის გახლავთ, რომ თავიდანვე, როცა ეს მოედანი შენდებოდა, ავტორთა ჩანაფიქრით სამრეკლო უნდა ყოფილიყო. კომუნისტებმა აკრძალეს ზარები და ეს ტრიბუნა გაიკეთეს „პარადებისათვის“. ახლა დრომ მოიტანა და უნდა აღსდგეს პირვანდელი ჩანაფიქრით.

— მთლიანად ანგრევთ?

— არა. მხოლოდ ტრიბუნას. თქვენ კი ცდებით — ეს ნგრევა არ არის, ეს შენებაა, ახლის შენება, გალამაზება.

იგივე გვითხრა პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა ბატონმა გიზო ფოცხიშვილმა.

— არ ინგრევა. ეს არის რეკონსტრუქცია უკეთესობისაკენ. მოედანი კეთილმოეწყობა. გაკეთდება შადრევნები. ეს გაქვავებული გრეიზერები (ხალხი რომ „ყურებს“ უწოდებს) მთლიანად მარმარილოთი მოპირკეთდება.

ქალაქში პანიკაა, თითქოს მიტინგი რომ არ ჩატარდეს, იმიტომ ანგრევენო. ასე არ არის, ყველაფერი ძველი ესკიზით გაკეთდება.

რა დაუჯდება ეს ყველაფერი მიწიხძვრისგან დანგრეულ საქართველოს, არავინ იცის, რადგან ხარჯთაღრიცხვა ჯერ არ არსებობს.

მაია ჭალაბანიძე





ზურაბ ქავთარაძის ფოტოები

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა:

ნოდარ ამბროსის ძე ჭითანავა — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად.

(ა. ჭლიკაძე გათავისუფლებულია თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე).

თენგიზ თეიმურაზის ძე ურუშაძე — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად ეკოლოგიის საკითხებში.

ბიორგი ხიმონის ძე ბაჩეჩილაძე — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად ერთაშორის ურთიერთობების საკითხებში.

**„ახალგაზრდა ავტორების“ ნომერი ნიშნავს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის უფროსი სპეციალისტ ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ ინსტიტუტში ეკა ბოლქვაძის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკოსად ინიშნვას ფაქტს. ინჟინერ-ტექნიკოსად ინიშნეს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის

ლორძინება არგო

ყვერდის ხელმძღვანელები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ლორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ

— წიგნებისა და ჟურნალების —
— გაზეთებისა და ბროშურების —
— რეკლამებისა და ბლანკების —
— აფიშებისა და ეტიკეტების —
— სავიზიტო ბარათების —

აწყობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ფართო არჩევანს.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დაკვეთას.

ჩვენი სახით თქვენ შეიძენთ საიმედო პარტნიორს!

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის 130, ტელ: 35-26-44; 34-05-14.

პატარა 6 წლის ილინა სარიევას სიცოცხლე საფრთხეშია!

ილინა ერთი წელია რაც მძიმედ ავადმყოფობს. მშობლებს და სამედიცინო პერსონალს პატარა ილინასათვის მზრუნველობა არ დაუკლიათ თბილისში, მოსკოვის 1 ინფექციურ საავადმყოფოს ნეირო-ქირურგიულ განყოფილებაში, მაგრამ ვირუსი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა ილინას ორგანიზმში, რამაც მენინგო- ენცეფალიტი და ეპილეფსია დაასადგურა განუკურნებლად მიიჩნიეს კავშირის მასშტაბით. ამდენად, საქართველოს წითელი ჯვრის და ჯამრთელობის სამინისტროს უშუალო შუამდგომლობით ილინას გაყვანის მოწვევა მოვიდა გერმანიიდან. ბატონი ნოდარი ცქიტიშვილი, ლადო მესხი, ქალბატონი ნატო გაჩეჩილაძე, მერი ჩხეიძე, დამზირ ჯოჯუა, მანანა გაბუნია უანგაროდ დაეხმარნენ პატარა ილინას სამკურნალოდ გასამგზავრებლად გერმანიაში. ბატონმა სოსო კარანაძემ და თენგიზ დონაძემ დროულად გაუმზადეს პატარა ილინას და მის დედას, მანულა ორფანოვას საბუთები, მაგრამ დაბრკოლება თანხაშია. თანხა მეტად სოლიდურია გერმანულ მარკებში, ამიტომ გთხოვთ ყველას, ყველა ქართველსა და არაქართველს, განსაკუთრებით ბერძნულ ასოციაციათა თვითოეულ წევრს, დავეხმაროთ პატარა ილინას სიცოცხლეს და ჩავურიცხოთ შეძლებისდაგვარად გარკვეული თანხა გახსნილი ანგარიშის ნომრებზე თბილისში, რაზედაც წინასწარ გიხდით დიდ მადლობას. სპონსორობას ვთხოვთ წარმოება- დაწესებულებებს, ასოციაციებს, საზოგადოებებს, გულთან მიიტანონ პატარა ილინას სიცოცხლე.

ანგარიშის ნომრებია: თბილისი, ნუკუბიძის 221, ვაკის რ-ნის კომერც. ბანკი, კოდი 521738 000700296; საგარეო ეკონომ. ბანკი, ჩიტაძის 5, 90440046 საბჭოთა მანეთებში, ვალუტით — 630820288/002.

ინფორმატიკაშრი-ს სამსახურში

იმერი

1. იმერი - მრავალდარგოვანი სამეცნიერო-საწარმოო კომერციული ფირმაა, რომელიც უზრუნველყოფს PC/AT(XT) ტიპის პერსონალური კომპიუტერების ტექნიკურ და სისტემურ ექსპლოატაციას.
2. იმერი - შეიქმნა მატერიალური რესურსების სამინისტროსთან და ამიტომაც მზადაა მოამარაგოს თავისი აბონენტები პერსონალური კომპიუტერებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით.
3. იმერი - ამუშავებს სპეცპროგრამებს.
4. იმერი - ღებულობს წინადადებებს სერვისული ბიუროების გახსნაზე საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ამისათვის მზადაა მოამზადოს ტექ. პერსონალი ადგილზე.

გვესტუმრეთ, მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, მისამართი:
380077, ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42/2
(მატერიალური რესურსების სამინისტრო, მე-3 სართული)
ტელ: 39-14-77; 95-81-05

ექსპრეს აქცია „ბუმერანგის“ მოთამაშეთა საყურადღებოდ!

გთავაზობთ „ბუმერანგი-1“-ის აქციებს. თქვენ არ დაგჭირდებათ აქციის გასაღებაზე ზრუნვა, აქციის გასაღების მოვალეობას, ჩვენ შეგისრულებთ.

თამაშის გარკვეულ პერიოდებში, გათამაშდება ლატარია.

განსაზღვრულია აგრეთვე თამაშის შემდგომი გაგრძელება.

გისურვებთ წარმატებებს!!

ჩვენი მისამართია: გლდანის მასივი „ა“ მიკ-რ-ნი, ვეკუას ქ.№6, ხელბურთის სპორტული სკოლის შენობაში, (ახმეტელის თეატრის გვერდზე), მეტროს სადგური „ახმეტელი“).

ცნობებისათვის დარეკეთ: 62-62-46 62-70-14 (თან იქონიეთ პასპორტი).

მამაკაცთა საყურადღებოდ!

ოჯახური უსიამოვნება, დეპრესია, სასოწარკვეთილება, ხშირად მოსდევს სქესობრივ მოშლილობებს.

თუ გსურთ დაიბრუნოთ რწმენა საკუთარ ძალებში, კვლავ იყოთ ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი მიმართეთ კოოპერატივ **„კონტაქტს“.**

პატივცემულო მამაკაცებო!

მხოლოდ ჩვენთანაა დანერგილი იმპოტენციის (მამაკაცის სქესობრივი უძლურობა) მკურნალობა ერექტორით-მეთოდით, რომელიც მიუხედავად იმპოტენციის გამომწვევი მიზეზებისა და პაციენტის ასაკისა გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით.

ჩვენთან დანერგილი ლაბორატორიული გამოკვლევები, მკურნელობის კომპლექსურობა (ერექტოროთერაპია, მედიკამენტოზური, აპითერაპია, ბიოველი, წერტილოვანი მასაჟი და სხვა) საშუალებას იძლევა პროსტატის მაღალ შედეგიან მკურნალობაში.

ჩვენთან მკურნალობენ მარილების დაგროვებას სახსრებში, ხერხემალში, რადიკულიტს, ნევრალგიას, კუნთების ანთებას.

მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49ᵃ, (სპორტსახკომის შენობა) II სარული, ოთახი: 9-10-11. ტელეფონი: 22-55-71.

მიღება: სამუშაო დღეებში 19-დან 21 სთ-მდე;
შაბათ-კვირას 10-დან 12 სთ-მდე.

მკურნალობა ანონიმურია.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ფირმა „სასტაული“

შეგაძენინებთ ნებისმიერი სახის ქაღალდსა და ქაღალდის ნაწარმს არც ისე სასწაულ ფასებში;
38-91-79 ბადრი

მეფუტკრეთა სახალხო უნივერსიტეტმა დაიწყო მსმენელთა მიღება. მისამართი: მერაბ კოსტავას ქ. №47, საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნა“.

სწავლა ორწლიანია. კურსდამთავრებული მიიღებს დიპლომს.

ლექციები ჩატარდება ოთხშაბათობით 17⁰⁰ საათიდან.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ადგილზე.

რექტორატი

ყიდება

უმაღლესი ხარისხის კომპაქტური ელექტრო ბურღები.
მისამართი: ბუდაპეშტის ქ.№1 ფირმა „არგო“ (სერვისი)

გავყიდი ან გავცვლი ვარკეთილის IV მ/რ, ვარკეთილის მეტროსთან ახლოს მდებარე ლვოვის პროექტით ნაშენ 2 ოთახიან ბინას 1 ოთახიან ბინაზე ვაკეში ან საბურთალოზე.

დარეკეთ: 22-23-21, იკითხეთ თინა.

ვცლი კეთილმოწყობილ კერძო ბინას 800 მ² ფართის ნაკვეთით, მდებარეს ნუცუბიძის ქუჩის მიმდებარე ქუჩაზე, ორ კეთილმოწყობილ ოთხ და სამოთახიან მრავალსართულიანი სახლის შესყიდულ ბინებზე.

დარეკეთ სალამოს: 31-75-96

ვყიდი

კაზ 45-40 მარკის დიზელის ძრავაზე მომუშავე თვითმცლელს მისაბმელით.
ტელეფონი: 30-92-98

ხალგზრდა ვერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისალები — 93-97-21;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

ბაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.